განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
„ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
14 ივლისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

21 აგვისტო 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	პროექტების მენეჯმენტის მაგისტრი 413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 05.02.2019 №39

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლარისა პატარაია, საკონსულტაციო და კვლევითი კომპანია "Start - Business Solutions", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ბარათაშვილი, აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ავსაჯანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით შემუშავებული იქნა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", რომელიც აკრედიტებული იქნა 28.09.2012წ. (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №467). ხოლო 05.02.2019 წლის №39 ოქმით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წლით და 6 თვით.

პროგრამის შედგენისას შინაარსობრივად საკმაოდ რთულია, რადგან მასში გათვალისწინებულია, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საერთო მოთხოვნები "ბიზნესის ადმინისტრირების" მიმართულების, დარგის "მენეჯმენტი", ქვედარგების/სპეციალიზაციების "პროექტების მენეჯმენტი" და "ტექნოლოგიათა მენეჯმენტი". ამასთანავე ის ეფუძნება უცხოური პროფესიული ასოციაციების ე.წ. "ცოდნის სტანდარტების" (Body of Knowledge, BK) რეკომენდაციებს, რომელთა შორისაა ამერიკული პროექტების მენეჯმენტის ინსტიტუტი (Project Management Institute, PMI), წარმოების და მარაგების კონტროლის ამერიკული საზოგადოება (American Production and Inventory Control Society, APICS), ამერიკული საზოგადოება ხარისხისთვის (American Society for Quality, ASQ) და სისტემათა ინჟინერინგის საერთაშორისო საბჭო (International Council on Systems Engineering, INCOSE).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მართვაში“ ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში ერთადერთია და მნიშვნელოვანია ამ პროგრამის შემდგომი განვითარება და ხელშეწყობა.

პროგრამა განკუთვნილია მაგისტრანტთა 2-წლიანი სწავლებისთვის, მისი საერთო მოცულობაა 120 ECTS კრედიტი,რომლის ექვივალენტიცაა მაგისტრანტის 120 X 25=3000 საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათი. დროის ამ პერიოდში გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო (85 კრედიტი, 10 არჩევითი) და კვლევითი კომპონენტების (35 კრედიტი, 5კრედიტი-თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი, 30 კრედიტი-სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა).

მაგისტრანტის სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა შუასემესტრული და დასკვნითი გამოცდების ჩატარებას, აგრეთვე მიმდინარე სასწავლო აქტივობის შეფასებას ითვალისწინებს.

მიმდინარე აქტივობის შეფასება მაგისტრანტის ლაბორატორიული აქტიურობის, ქეისის განხილვისას დისკუსიაში მონაწილეობის, სემინარში ჩართულობის, პრაქტიკული სამუშაოს, საკურსო პროექტების და ხელმძღვანელის დავალებების შესრულების შედეგების მიხედვით ხდება.

პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები. კერძოდ: დაიხვეწა პროგრამის მიზანი; შემცირდა კვლევითი კომპონენტი 10 კრედიტით (იყო 45 კრედიტი - გახდა 35), სასწავლო კურსების „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები 1“და გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები 2“ - ის ნაცვლად მომზადდა ახალი სასწავლო კურსი: „გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მოდელები“ - 5კრ, სწავლების მეთოდებით - ლექცია და ლაბორატორია; გამოთავისუფლებული 15 კრედიტის ხარჯზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული. წინაპირობით - „ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები“; „პროექტის რისკების მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკა, წინაპირობით - „სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები“; „ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი“ - 5კრ, სწავლების მეთოდები: ლექცია, ლაბორატორიული. წინაპირობით - „გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები“.

სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) განხორციელდა ცვლილებები, როგორც შინაარსობრივი, ასევე ლიტერატურის მხრივ.

რეკომენდაციის შესაბამისად კურიკულუმში გაძლიერდა პრაქტიკული ნაწილი, მოხდა თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირება; კერძოდ: სასწავლო კურსს „პროექტის რისკების მენეჯმენტი“ დაემატა საწარმოო პრაქტიკა, ხოლო 2 სასწავლო კურსში „საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი“ და „პროგრამების და პროექტების მართვა“ სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული საათები შეიცვალა ლექცია, ლაბორატორიული და საკურსო სამუშაოთი.

პროექტის შინაარსის, ხარისხის, ვადების, შესყიდვების და მატერიალური რესურსების მართვის საკითხები, ლიდერობა და ორგანიზაციული ქცევა განხილულია შემდეგი სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში): „პროგრამების და პროექტების მართვა“, „ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ლოგისტიკური სისტემების მოდელირება“, „პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები“.

ასევე, მოხდა სასწავლო კურსებში „პროგრამების და პროექტების მართვა“ და „პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები“ სასწავლო ლიტერატურის ცვლილება.

გაძლიერდა არჩევითი სასწავლო კურსები, შეიქმნა ორი არჩევითი ბლოკი, შემდეგი სასწავლო კურსებით (თითოეული 5კრ):

1. პროექტირების მეთოდები - 5 კრ, სწავლების მეთოდები - ლექცია, პრაქტიკული;
2. საწარმოს ეკონომიკა - 5 კრ, სწავლების მეთოდები - ლექცია, პრაქტიკული;

2.1 საწარმოო მართვის სისტემები - 5 კრ, სწავლების მეთოდები - ლექცია, სემინარი;

2. ინოვაციათა მარკეტინგი - 5 კრ, სწავლების მეთოდები - ლექცია, სემინარი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 ივლისს. ვიზიტამდე 2020 წლის 13 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის შეკრება 15:00 საათიდან 17:00 საათამდე, სადაც მიმდინარეობდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

14 ივლისს დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

"ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. რადგან:

- ✓ პირველი სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- ✓ მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი 2.2. და 2.4. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაშია;
- ✓ მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი 3.2. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 3.1. სრულ შესაბამისობაშია;
- ✓ მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი 4.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაშია;
- ✓ მეხუთე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი 5.1. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

- ✓ პროგრამის კვლევითი კომპონენტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან. კერძოდ პროგრამაში წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი და 5 კრედიტის ოდენობით კვლევითი კომპონენტი „თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი", რომლებიც ფასდება ცალ-ცალკე, იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნები კვლევითი კომპონენტი პროგრამაში უნდა იყოს 1 და ფასდებოდეს ერთჯერადად.
- ✓ უსდ-მ დოკუმენტში, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ", მოახდინოს უფრო დეტალური აღნიშვნა სამაგისტრო ნაშრომში მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის არსებობისთვის.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის ასახვას ნაშრომში;

- ✓ რეკომენდირებულია გარემონტდეს და თანამედროვედ აღიჭურვოს მე-8 კორპუსი, მათ შორის საპირფარეშოები. შესაბამისად, ბიუჯეტში გამოიყოს საჭირო თანხები;
- ✓ გაძლიერდეს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართვის მექანიზმები პროგრამის განახლების/გაუმჯობესების პროცესებში;
- ✓ მოხდეს ქმედითი რეაგირება აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე (გაიზარდოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ✓ სასურველია პროგრამის დასახელება დაკორექტირდეს და დაერქვას „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი";
  - ✓ კარგი იქნება თუ, პროგრამის მიზნებში გამოიკვეთება ინტერნაციონალიზაციის საკითხი;
  - ✓ სასურველია, შემუშავებული იქნას პროგრამის სამიზნე ნიშნულები, ფაკულტეტის სამიზნე ნიშნულებიდან დამოუკიდებლად;
  - ✓ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოიკვეთოს მეთოდოლოგიური ნაწილი, რის საფუძველზეც დადგინდება, სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო;
  - ✓ სასურველია მოდიფიცირდეს „ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიების" კურსი ან მის ნაცვლად შეთავაზებული იქნას შემდეგი სასწავლო კურსებიდან რომელიმე: საგადასახადო დაბეგვრა, მაგისტრატურის საფეხურის "მმართველობითი აღრიცხვა" (ქართული თარგმანი, ენტონი ა. ატკინსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმურა და ს. მარკ იანგი) ანდა "საქმიანობის შედეგების მართვა" (ACCA-ს სახელმძღვანელო F5);
  - ✓ უმჯობესია განახლდეს წიგნები. მაგ: სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელო სტრიკლენდის და ტომპსონის ავტორობით თარიღდება 2008 წლით; ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართულად ითარგმნა სტრატეგიული მენეჯმენტის ორი შედარებით ახალი სახელმძღვანელო და უმჯობესია ძველი გამოცემის წიგნები ჩანაცვლდეს ახლით;
  - ✓ სასურველია, ზოგიერთი ლიტერატურის განახლება და ამავდროულად კარგი იქნება, თუ, უსდ დაიწყებს პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების

თარგმნის პროექტებზე მუშაობას ასევე, პროფესორ მასწავლებლების გრანტებით დაფინანსებას სახელმძღვანელოების მომზადებისთვის;

- ✓ სასურველია შეიცვალოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის მხოლოდ საკონტაქტოს საათებით ანაზღაურების წესი;
- ✓ სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა, რათა თანამშრომლებს ჰქონდეთ ღირსეული სამუშაო პირობები და შესაძლებელი გახდეს ტალანტების აღმოჩენა და დაწინაურება უფრო ეფექტურად;
- ✓ უმჯობესია, უნივერსიტეტს შიდა მოხმარებისთვის შემუშავებული ჰქონდეს პროგრამის ბიუჯეტი; ბიუჯეტის შედგენის დროს გამოყენებული იყოს ABC (Activity based costing - საქმიანობობების სახეების მიხედვით დანახარჯთა მართვა) ან სხვა უსდ-ს ბიუჯეტირების შედგენისას გამოყენებული მოდელი, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ეფექტური ანალიზი და შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას;
- ✓ მოხდეს პროგრამის შინაარსობრივი შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ/სხვა ადგილობრივი/უცხოური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ;
- ✓ გაიზარდოს გამოკითხულ დამსაქმებელთა რიცხვი, რომლებიც ჩართული არიან პროგრამის პერიოდულ შეფასებაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ✓ პროგრამის სასწავლო კურსებში უხვად არის გამოყენებული ე.წ. "კესიების განხილვა", რომელიც ისწავლება სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებთან კომბინაციაში, რომლებიცაა "Excel, MS Project. Expert Choice, SAP, MPS® EduKit PA, FluidLab®-PA closed-loop და Arena.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - ✓ წინა აკრედიტაციასთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსები.
  - ✓ პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და შეფასების მეთოდები არსებითად არის გაუმჯობესებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილია სააკრედიტაციოდ, ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანებას №69/ნ, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „პროექტების მენეჯმენტის მაგისტრი“ - 0413. რადგან დოკუმენტი ითვალისწინებს ცალ-ცალკე 0413.2.11 ტექნოლოგიების მენეჯმენტის და 0413.2.12 პროექტების მენეჯმენტი კვალიფიკაციას, კვალიფიკაციის კოდი შერჩეულია ადეკვატურად. თუმცა, „მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი თავისუფალია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების შერჩევაში“, პროგრამის სახელწოდება „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ კარგი იქნება შეიცვალოს შემდეგნაირად „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი” რადგან, „პოლიტიკა“ კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით სხვა ნაწილშია - „0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“ და შესაძლოა ამ გარემოებებმა, როგორც დამსაქმებელი ასევე სტუდენტი შეიყვანოს შეცდომაში. ამ გარემოებების გათვალისწინებით პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ***„ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი“,*** მისანიჭებელი კვალიფიკაციით „პროექტების მენეჯმენტის მაგისტრი“. შემდგომი შეფასებები დაეფუძნება ამ სახელსა და წარმოდგენილ კვალიფიკაციას - 0413.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით შემუშავებული იქნა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", რომელიც აკრედიტებული იქნა 28.09.2012წ. (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №467), ხოლო 05.02.2019 წლის №39 ოქმით მიენიჭა წელიწადისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაცია.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანია: *„მენეჯერების მომზადება, რომლებიც გადაწყვეტილების რაოდენობრივი მოდელების გამოყენებით, შეძლებენ საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიული და ფინანსური ანალიზის ჩატარებას, შესაბამისი რისკების შეფასებას და მათ ასახვას ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ტექნოლოგიური ინოვაციების ასათვისებელ პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო სისტემების, მათ შორის ლოგისტიკური სისტემების, თანამედროვე ინჟინერინგის და მართვას.“*

ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე (https://gtu.ge/), სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლია გაეცნოს პროგრამას უპირატესობებს, მიღების წინაპირობებს და სასწავლო გეგმას. პროგრამის მიზნებში ვერ ვხედავთ მკვეთრად გამოხატულ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს, თუმცა უნივერისტეტის სტრატეგიულ განვითარების გეგმაში (სტრატეგიული მიზანი #5 https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php?sphrase_id=302119), რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიულ პრიორიტეტად არის დასახელებული. ამასთანავე უსდ-ს ცალკე აქვს შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგის დოკუმენტი https://gtu.ge/pdf/dadgenileba%2001-05-04-97%20internationalization.PDF.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ *სააკრედიტაციო წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ერთადერთია ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში „ტექნოლოგიური პროექტების მართვის“ მიმართულებით და მნიშვნელოვანია ამ პროგრამის შემდგომი განვითარება.*

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარის მიერ.

საბოლოო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამის მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი. ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას ემსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა სტუ-ს ვებ-გვერდზე მისამართით https://gtu.ge/pet/Edu-Programs/magistreTechnological%20Project%20Manager%20and%20Industry%20Policy%20Georgian%202018.pdf • სტუ-ს „საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის“ დეპარტამენტის ვებ-საიტი http://dep.logos.ge/; • სტუ-ს მისია იხ. http://gtu.ge/AboutStu/Mission.php; • სტუ-ს სტრატეგიული განვითარების და ფაკულტეტის სამოქმედო გეგმები; • დამსაქმებლების გამოხმაურებები; • საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019; • ინტერვიუები დაინტრესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია პროგრამის დასახელება დაკორექტირდეს და დაერქვას „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი”; ✓ კარგი იქნება თუ, პროგრამის მიზნებში გამოიკვეთება ინტერნაციონალიზაციის საკითხი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის პროგრამას „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" აქვს 10 შედეგი, რომლებშიც კონკრეტულად აღწერილია ის კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ გამოიმუშავებს. შედეგებში წარმოდგენილია ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის, და ავტონომიურობის დონეები.

მაგალითად შედეგი: " 6. აღწერს საწარმოში არსებულ და დასაგეგმარებელი ბიზნეს პროცესებს, აკავშირებს პირველადი და დამხმარე პროცესების შესაძლებლობებს საწარმოს მიერ მიღწეულ კონკურენტუნარიანობასთან, განსაზღვრავს მათი მოდერნიზების აუცილებლობას; სტრატეგიული სარგებლის მაქსიმიზების მიზნით ადგენს ახალ ორგანიზაციულ მოდელებს და ასაბუთებს მათი სარეალიზაციო პროექტების განხორციელების საჭიროებას;" აღწერს საწარმოში არსებულ და დასაგეგმარებელი ბიზნეს პროცესებს - შეესაბამება ცოდნას. აკავშირებს პირველადი და დამხმარე პროცესების შესაძლებლობებს საწარმოს მიერ მიღწეულ კონკურენტუნარიანობასთან, განსაზღვრავს მათი მოდერნიზების აუცილებლობას - შესაბამება უნარებისა და პასუხისმგებლობას, სტრატეგიული სარგებლის მაქსიმიზების მიზნით ადგენს ახალ ორგანიზაციულ მოდელებს და ასაბუთებს მათი სარეალიზაციო პროექტების განხორციელების საჭიროებას - ავტონომიურობას.

ამის საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს "ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას", რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს.

პროგრამაში წარმოდგენილია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა, რომლებიც ლოგიკური და თანმიმდევრულია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, პროგრამაში ვხვდებით სასწავლო კურსებს, რომლებშიც გამოყენებულია ლაბორატორიული მეცადინეობები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე, ასევე შეფასების მეთოდებში სხვებთან ერთად გამოყენებულია საკურსო სამუშაო/პროექტი.

პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება ხდება სასწავლო კურსებში: "საწარმოო და ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი"-ში და „პროექტებისა და პროგრამების მართვა"-ში საკურსო სამუშაოს შესრულებით და საწარმოო პრაქტიკა სასწავლო კურსში „პროექტის რისკების მენეჯმენტი".

ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უსდ-ში არსებობს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი ფაკულტეტის დონეზე, ხოლო პროგრამის დონეზე ასეთი სახის დოკუმენტი არ არის.

წარმოდგენილი პროგრამის შედეგები მოდიფიცირებულია 2019 წლის აკრედიტაციის პროცესში გაწეული რეკომენდაციების და 2020 წლის თებერვალში დასრულებული თვითშეფასების შესაბამისად, ამიტომ მსჯელობა იმ საკითხზე, რომ ამ შედეგების ფაქტობრივად მიღწევადია თუ არა დადასტურდება სამაგისტრო ნაშრომით არარელევანტურია. თუმცა სამაგისტრო ნაშრომებით ვერ დგინდება რა სახის და ოდენობის სამუშაო ჩაატარა მაგისტრანტმა, რადგან ზედაპირულია და მეთოდოლოგია არ არის ცალკე გამოყოფილი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. მის შედეგების შეფასებაში ჩართულია და მჭიდრო თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. უსდ-ში შექმნილია შესაბამისი პირობები ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ http://dep.logos.ge/index.php/kursdamtavrebulebi;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Ministry-of-Education-and-Science-of-Georgia.php
- ინტერვიუები დაინტრესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია შემუშავებული იქნას პროგრამის სამიზნე ნიშნულები, ფაკულტეტის სამიზნე ნიშნულებიდან დამოუკიდებლად; ✓ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოიკვეთოს მეთოდოლოგიური ნაწილი, რის საფუძველზეც დადგინდება, სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის პროგრამის, „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", დაშვების წინაპირობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აუცილებელი პირობაა საერთო სამაგისტრო და სტუ-ს მიერ დაწესებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარება. მიღების პროცედურა ხორციელდება "სტუ–ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის" https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/st_kion_mob_inst_91019_SD.pdf და მაგისტრატურის დებულების შესაბამისად https://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxeb_debuleba_2019-09-23.pdf პროგრამა და ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის https://gtu.ge/quality/Files/Pdf/katalogi-new/energetika%20magistratura.pdf, . საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით გადალახვის შემდეგ, მსურველი აბარებს გამოცდას სპეციალობაში. გამოცდა ტარდება ტესტირების მეშვეობით, ტესტირების ნიმუში საჯაროდ დევს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ბმული: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_test_teqn_proeqt_menej_18_SD.pdf). გამოცდას იბარებს უსდ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია. საგამოცდო ტესტების ნიმუშების განახლებული ვერსიები თავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოცდებამდე ერთი თვით ადრე. გამოცდის ჩატარებამდე 2-3 კვირით ადრე, საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი სათანადო სასწავლო წყაროების მითითებით, იკვრება ფაკულტეტის სპეციალურ სტენდზე. ამ ჩამონათვალთან ერთად აქვე მითითებულია კონსულტანტები, რომლებიც მსურველებს საგამოცდო საკითხებში გარკვევაში ეხმარებიან და კონსულტაციების ჩატარების გრაფიკი.

აღნიშნულ პროგრამაზე მიღებების წინაპირობები გამჭირვალეა, თუმცა რელევანტურ მიმართულებაში ბაკალავრის ხარისხის ან სამუშაო გამოცდილების აუცილებლობის შეზღუდვის არ ქონამ, შესაძლოა გაართულოს პროგრამით გათვალისწინებული ისეთი კურსების დაძლევა, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები, საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჯეროვნად მიღწევა. თუმცა, სასურველი საბაზისო ცოდნის დაძლევის საფუძველი სრულად არის გათვალისწინებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის მოთხოვნილი უცხო ენის ცოდნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის. მიღების პროცედურა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“; ○ საჯარო ინფორმაცია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019/2020 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსის წესით ჩარიცხვის შესახებ“ (https://gtu.ge/Study-Dep/Orders/Orders-Of-University.php, შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (http://naec.ge). ○ "სტუ–ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია" https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/st_kion_mob_inst_91019_SD.pdf ○ ინტერვიუები დაინტრესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უსდ ამ სპეციალობის სტუდნტებისთვის დაშვების წინაპირობებში მიუთითოს მოთხოვნა უცხო ენის ცოდნის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის სამაგისტრო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“, შედგენილია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილების “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ https://gtu.ge/quality/Files/Pdf/programis%20dagegmvis.pdf და უსდ-ში მოქმედი სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად (https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_1_2019.pdf).

შედგება 120 კრედიტისაგან (ECTS), სასწავლო კომპონენტი 85 კრედიტია. მათ შორის 10 კრედიტი არჩევითია. 35 კრედიტი კვლევითი კომპონენტია. ძირითადად საგნები 5 კრედიტიანია.

სწავლება სემესტრულია, რომელიც შედგება 20 კვირისგან. პროგრამის ქრონოლოგიური და შინაარსობრივი თანმიმდევრობა და ყოველ მომდევნო კომპონენტზე გადასვლა, კურიკულუმის სტრუქტურაში, ლოგიკურია.

პირველ სემესტრში გათვალისწინებულია არჩევითი საგნები, რომელიც 2 ბლოკად არის გამიჯნული, ერთში შედის საგნები „პროექტირების მეთოდები“ და „საწარმოს ეკონომიკა, ხოლო მეორეში „ინოვაციათა მარკეტინგი“ და „საწარმოო მართვის სისტემები“. სტუდენტი საბაზისო ცოდნის გათვალისწინებით თვითონ წყვეტს რომელი სასწავლო კურსი აირჩიოს შეთავაზებული ალტერნატივებიდან.

სემესტრი მოიცავს 20 კვირას. აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. მე-9 კვირაში ტარდება შუასემესტრული გამოცდა. მე-17 კვირა ეთმობა დოკუმენტური მასალის ჩაბარებას და გამოცდებისათვის მომზადებას. მე-18-19 კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. მე- 20 კვირა გადაბარების კვირაა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელმაც მიმდინარე აქტივობებში დააგროვა 15 და მეტი ქულა და შუასემესტრულ გამოცდაზე მიიღო 15 და მეტი ქულა.

პროგრამა საკმაოდ ხისტია, რადგან 110 კრედიტი ძირითადი კომპონენტია, შესაბამისად პროგრამის ყოველ მომდევნო კომპონენტზე სტუდენტის დაშვებისთვის უნდა შესრულდეს ორი პირობა: 1. წინმსწრები კომპონენტების გავლის შედეგად მას უნდა დაუგროვდეს კრედიტების მოთხოვნილი რაოდენობა: 2. ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ყველა ის სასწავლო კურსი, რომლებიც მიჩნეულია ახალი კომპონენტის შესწავლის წინაპირობად. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტის გადაყვანა სწავლების მომდევნო კურსზე, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი სალიკვიდაციო დავალიანება არ აღემატება 15 კრედიტს. სასწავლო საგნის სილაბუსში მითითებულია, როგორც მასზე დაშვების წინაპირობები, წინასწარ გასავლელი საგნების დასახელებების სახით, ისე მოცემული საგნის ათვისების შედეგად შეძენილი კრედიტების რაოდენობა.

პროგრამით სწავლების სრული ციკლი 4-სემესტრიანია, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნას მაგისტრანტებისთვის. ინდივიდუალურ გრაფიკზე გადაყვანის წესი და პირობები რეგლამენტირებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილებით № 1473 (იხ. http://gtu.ge/pdf/brdzanebebi/brz.1473.pdf). თითოეული სემესტრი 30 ECTS კრედიტის ათვისებას გულისხმობს. პირველი და მეორე სემესტრი მხოლოდ სასწავლო კომპონენტის გავლას ითვალისწინებს.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შესაბამისობაშია სწავლების საფეხურის მოთხოვნებთან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგებთან. მის სასწავლო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსების მიმდევრობა და ლოგიკა შეესაბამება როგორც

მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ისე წარმოდგენილ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავსი პროგრამების სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში უხვად არის გამოყენებული ე.წ. "ქესიების განხილვა", მაგალითად სასწავლო კურსში „საწარმოო და ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი" ქესების განხილვა ხორციელდება SAP ERP-ის დახმარებით, ლექციას ეთმობა - 15 საათი, სემინარებს - 6 საათი, ლაბორატორიულს - 15, საკურსო სამუშაოს/პროექტს - 9 საათი.

პროგრამის სტრუქტურა გამორჩეულია იმით, რომ საგნები ისწავლება სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებთან კომბინაციაში, რომლებიცაა "Excel, MS Project. Expert Choice, SAP, MPS® EduKit PA, FluidLab®-PA closed-loop და Arena.

პროგრამის თვითშეფასების და ხელმძღვანელთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი, რომელთა შორისაა "ინდუსტრიული ინჟინერინგის მაგისტრი" (MSc in Industrial Engineering) და "ოპერაციათა კვლევის მაგისტრი" (MSc in Operations Research) ჯორჯიის (აშშ) ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (The Georgia Institute of Technology), აგრეთვე "ტექნოლოგიის მენეჯმენტის მაგისტრი" (MSc Management of Technology) და "სისტემათა ინჟინერინგის, პოლიტიკის ანალიზის და მენეჯმენტის მაგისტრი" (MSc in Systems Engineering, Policy Analysis and Management) დელფტის (ჰოლანდია) ტექნოლოგიათა უნივერსიტეტში (Delft University of Technology), რომელთანაც სტუ-ს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება.

თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლების ფორმატი, სწავლება-სწავლის და სტუდენტის შეფასების მეთოდები, რომლებითაც ფასდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

პროგრამაში წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი და 5 კრედიტის ოდენობით, კვლევითი კომპონენტი „თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი". თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ „სტუდენტი მეორე სემესტრში იწყებს მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის თემის შერჩევას ხელმძღვანელისა და მაგისტრანტის ურთიერთშეთანხმებით. მესამე სემესტრში სასწავლო კომპონენტს კვლევითი კომპონენტიც ემატება, 5 კრედიტის საერთო მოცულობით, ხოლო მე-3 სემესტრში წარმოებული კვლევების შედეგად უნდა დაზუსტდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა და შეირჩეს სათანადო პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზა. მე-3 სემესტრში ჩატარებულმა კვლევებმა უნდა გამოკვეთოს პასუხი ყველა პრინციპულ კითხვაზე. მე-4 სემესტრი კი მთლიანად კვლევების

დასრულებას, საკვალიფიკაციო ნაშრომის გაფორმებას და დაცვას ეთმობა.“ ასევე, „თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი“ 5 კრედიტის ოდენობით, რეგულირდება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით, სადაც წერია, რომ „თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავება, მკაფიო წარმოდგენის შექმნა მთავარი პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა.“ დეტალები იხილეთ https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4_2019.pdf. ასევე ამავე დებულებაში მოცემულია, რომ კოლოკვიუმის მოცულობაა 10 კრედიტი ანუ 250 საათი, ხოლო პროგრამაში წარმოდგენილია, როგორც 5 კრედიტი. რადგან, ეს არის კვლევის კომპონენტი მისი შეფასება უნდა ხდებოდეს სამაგისტრო ნაშრომთან ერთად - ერთჯერად, შესაბამისად აღნიშნული საკითხი ეწინააღმდეგება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებას. სადაც მითითებულია, რომ „„სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით“.

შესაძლებელია პროგრამის ამ კომპონენტის სასწავლო კურსად გარდაქმნა ამ შემთხვევაში მისთვის უნდა მომზადდეს სილაბუსი და შეფასებაც უნდა განხორციელდეს რამდენჯერმე. თუმცა, უმჯობესია შემოღებული იქნას სასწავლო კურსი „კვლევითი მეთოდები ბიზნესში“ ან „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ სადაც ერთ-ერთი კომპონენტი იქნება სწორედ კოლოქვიუმის ან პროექტის მომზადება მცირე კვლევის სახით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საკითხები პროგრამის კურსებში კარგად არის წარმოდგენილი. მაგალითად სასწავლო კურსში „გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები“, ხოლო შემდგომში სხვა სასაწავლო კურსებში ამ საკითებს ინტენსიურად იყენებენ.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, გარე შემფასებლები: აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს წევრების) აღნიშნულ პროგრამაში მოხდა პრაქტიკის კომპონენტის და რიგი საგნების დამატება, როგორიცაა საინვესტიციო

პროექტების ფინანსური მენეჯმენტი, პროექტების რისკების მენეჯმენტი, მისი გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს უსდ-ის ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ კურიკულუმი. დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ მოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში. https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია. https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info ○ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი https://gtu.ge/quality/Files/Pdf/programis%20dagegmvis.pdf ○ სტუ-ს ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტისის მრჩეველთა საბჭოს „საინჟინრო მენეჯმენტის“ მიმართულების მიზნობრივი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის ოქმი; ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ✓ პროგრამის კვლევითი კომპონენტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან. კერძოდ პროგრამაში წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი და 5 კრედიტის ოდენობით კვლევითი კომპონენტი „თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი“, რომლებიც ფასდება ცალ-ცალკე, იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნები, პროგრამაში კვლევითი კომპონენტი უნდა იყოს 1 და ფასდებოდეს ერთჯერადად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის სასწავლო კურსებში უხვად არის გამოყენებული ე.წ. “ქეისიების განხილვა”, რომელიც ისწავლება სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებთან კომბინაციაში, რომლებიცაა “Excel, MS Project. Expert Choice, SAP, MPS® EduKit PA, FluidLab®-PA closed-loop და Arena.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ წინა აკრედიტაციასთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსები.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" სტუდენტებს სთავაზობს დარგში არსებულ მიდგომების ცოდნისა და კომპეტენციების გამომმუშავებელ სასწავლო კურსებს. თითოეული მათგანის სწავლის შედეგები წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს. თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. პროგრამა მომზადებულია მოთხოვნილი სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და წინაპირობები ლოგიკურადაა დალაგებული. თანმიმდევრულად სასწავლო კურსებში .

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების

რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლება - სწავლის მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის ადეკვატურად.

სასწავლო კურსის „ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები"; ზოგადი ხასიათისაა, ლიტერატურა მოძველებულია, მასში არ არის ახალი თანამედროვე განვითარების თეორიები და მდგრადი განვითარების მიზნები. შესაძლებელია ამ საგნის მოდიფიცირება ისე, რომ მისი სწავლება მოხდეს Michael P. Todaro-ს სახელმძღვანელოთი "ეკონომიკური განვითარება" (თარგმანზე მუშაობა ახალა ხანს დაასრულა თსუ-მ). თუმცა პროგრამა გაუმჯობესდებოდა, თუ მოხდება ამ კურსიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის შეთავაზება სხვა არსებულ სასწავლო კურსში, მაგალითად "სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი", ხოლო გამოთავისუფლებული კრედიტის ხარჯზე შეთავაზებული იქნება შემდეგი სასწავლო კურსებიდან რომელიმე: საგადასახადო დაბეგვრა, მაგისტრატურის საფეხურის "მმართველობითი აღრიცხვა" (ენტონი ა. ატკინსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმურა და ს. მარკ იანგი, ქართული თარგმანი 2009) ანდა "საქმიანობის შედეგების მართვა" (ACCA-ს სახელმძღვანელო F5, ქართული თარგმანი, 2014).

სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ზოგიერთი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას. მაგალითად: სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელო სტრიკლენდის და ტომპსონის ავტორობით თარიღდება 2008 წლით; ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ქართულად ითარგმნა სტრატეგიული მენეჯმენტის ორი შედარებით ახალი სახელმძღვანელო და უმჯობესია ძველი გამოცემის წიგნები ჩანაცვლდეს ახლით.

გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ პროგრამისთვის შესაბამისი ქართული ლიტერატურა მწირია, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი ლიტერატურის განახლება და ამავდროულად კარგი იქნება, თუ უსდ დაიწყებს პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტებზე მუშაობას, ასევე, პროფესორ მასწავლებლების გრანტებით დაფინანსება სახელმძღვანელოების მომზადებისთვის.

პროგრამის სასწავლო კურსებში მაგისტრანტი ეუფლება ბიზნესის პროცესული ორგანიზების გამოყენებას, ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენებაზე მიმართულ სტრატეგიათა განვითარებას, ინდუსტრიის მაღალტექნოლოგიური დარგების ხელშემწყობი პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებას და რეალიზებას სათანადო პროექტების მეშვეობით, გადაწყვეტილებათა მიღებას რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით, ლოგისტიკური ჯაჭვების დაგეგმარებას.

პროგრამაში არსებული სასწავლო კურსის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში - ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი; სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი; საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი; სისტემათა ინჟინერინგი; ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი; და პროგრამების და პროექტების მართვა, გამოყენებულია ლაბორატორიული სწავლება. ზოგადად პროგრამაში დაცულია არსებული სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზანთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები; ○ სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info; ○ სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; ○ მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო ლიტერატურის ადგილზე შინაარსობრივი შესწავლა; ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია მოდიფიცირდეს „ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიების“ კურსი ან მის ნაცვლად შეთავაზებული იქნას შემდეგი სასწავლო კურსებიდან რომელიმე: საგადასახადო დაბეგვრა, მაგისტრატურის საფეხურის “მმართველობითი აღრიცხვა” (ქართული თარგმანი, ენტონი ა. ატკინსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმურა და ს. მარკ იანგი) ანდა “საქმიანობის შედეგების მართვა” (ACCA-ს სახელმძღვანელო F5). ✓ უმჯობესია განახლდეს წიგნები. მაგ: სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელო სტრიკლენდის და ტომპსონის ავტორობით თარიღდება 2008 წლით; ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართულად ითარგმნა სტრატეგიული მენეჯმენტის ორი შედარებით ახალი სახელმძღვანელო და უმჯობესია ძველი გამოცემის წიგნები ჩანაცვლდეს ახლით. ✓ სასურველია, ზოგიერთი ლიტერატურის განახლება და ამავდროულად კარგი იქნება, თუ უსდ დაიწყებს პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტებზე მუშაობას ასევე, პროფესორ მასწავლებლების გრანტებით დაფინანსებას სახელმძღვანელოების მომზადებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და შეფასების მეთოდები არსებითად არის გაუმჯობესებული.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის პროგრამაში „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა", მრავლადაა სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები. მაგალითად, ვხვდებით შემდეგ სასწავლო კურსებს: გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები; სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი; საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი; ლოგისტიკური სისტემების მოდელირება და ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი კომპლექსურობით და მიმართულია ტექნოლოგიური ბიზნესის მართვის უნარების გამომუშავებისკენ. კურსებში წარმოდგენელი ლაბორატორიული და პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მიმდინარეობს შემდეგი სოფთების გამოყენებით "Excel, MS Project. Expert Choice, SAP, MPS® EduKit PA, FluidLab®-PA closed-loop და Arena", გარანტირებულად უზრუნველყოფს სტუდენტებში მაღალი დონის ტრანსფერული უნარების გამომუშავებას.

პროგრამა ითვალსიწინებს საწარმოო პრაქტიკას, სასწავლო კურსში „პროექტების რისკების მენეჯმენტი“ რომლის ორგანიზება და მიმდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის შესაბამისად https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praqtika_18_SD.pdf . პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს პრაქტიკის ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები პრაქტიკის დღიურში. სტუდენტი სემესტრის ბოლოს წარმოადგენს პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის შეფასება ხდება მაქსიმუმ 10 ქულით, პრაქტიკის ანგარიშის წარდგენით და დაცვით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების ჩატარებას. პროგრამის მაგისტრანტები აკეთებენ მოხსენებებს ამ კონფერენციების ფარგლებში მოქმედ „საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სექციაზე“.
სტუ-ს სხვადასხვა პარტნიორებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები.

პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 35 კრედიტი კვლევით კომპონენტს მიეკუთვნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაცული სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიური ნაწილი სუსტია, თუმცა პროგრამის განახლებული სტრუქტურა და შინაარსი სავარაუდოდ გაამლიერებს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

აღსანიშნავია ის რომ უსდ-ს აქვს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxeb_debuleba_2019-09-23.pdf; მის დანართ #5-ში წერია:

სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები: (აუცილებელი რომელიც არ არის მითითებული ვარსკვლავით)

- სატიტულო გვერდი
- ხელმოწერების გვერდი
- საავტორო უფლების გვერდი
- ვინმესთვის მიძღვნის გვერდი*
- რეზიუმე (ორ ენაზე)
- შინაარსი
- ცხრილების ნუსხა
- ნახაზების ნუსხა
- გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა*
- ანბანური საძიებელი*
- მადლიერების გვერდი*
- ძირითადი ტექსტი

- შესავალი
- ლიტერატურული მიმოხილვა
- შედეგები და მათი განსჯა
- დასკვნა
- სქოლიო*
- ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა
- დანართები*

ხოლო დანართ #4 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4_2019.pdf, 4.4. - ში კი წერია:

საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა, პრაქტიკული მნიშვნელობა – შეფასება 4 ქულამდე;
- საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი – შეფასება 4 ქულამდე;
- კვლევის მეთოდების გამოყენება – შეფასება 4 ქულამდე;
- ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა – შეფასება 4 ქულამდე;
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება – შეფასება 4 ქულამდე;
- ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარდგენის უნარი – შეფასება 5 ქულამდე.

შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S = 4 x M, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული

ლოგიკურად სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში ან შედეგებსა და მათი განსჯის ნაწილში უნდა იყოს წარმოდგენელი მეთოდოლოგია, რაც წარმოდგენას შექმნიდა დაცული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოზე. თუმცა აღნიშნული დაცულ ნაშრომებში არ იყო წარმოდგენილი. ამასთანავე, შესავალ ნაწილში უნდა იყოს ნაშრომის მიზნების და ამოცანების ანდა მთავარი კვლევითი კითხვის და ჰიპოთეზის ფორმულირება, რომელიც არც სტრუქტურაში და არც შეფასებაში არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მარეგულირებელ დოკუმენტში უსდ-მ უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი, რათა ყურადღება მიექცეს მეთოდოლოგიური და მიზნობრიობის კომპონენტის გაძლიერებას.

ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები: ბიზნესკომუნიკაცია, დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თუმცა, აღნიშნული საგნების ინტეგრაცია შესაძლებელია 1 საგნად და გამოთავისუფლებული კრედიტის ხარჯზე სხვა სასწავლო კურსის შეთავაზება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო

და ტრანსფერული უნარების განვითარებას, თუმცა გასაუმჯობესებელი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მაგისტრანტების მიერ კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები; ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან; ○ სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ დაცული სამაგისტრო ნაშრომები; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ✓ უსდ-მ დოკუმენტში, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, მოახდინოს უფრო დეტალური აღნიშვნა სამაგისტრო ნაშრომში მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის არსებობისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“, შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი გაწერილია დეტალურად. სტუ-ს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, სადაც ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული სწავლების მეთოდები და აქტივობები. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდებში გამოიყენება: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული, ლაბორატორიული, პრაქტიკა, საკურსო სამუშაო/პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა.

პროგრამაში წარმოდგენილი და ახსნილია აქტივობები, რომლებიც ასახულია სასწავლო კურსის პროგრამებში, რომლებიცაა:

1. დისკუსია/დებატები
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
4. შემთხვევების შესწავლა (Case study)
5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. დემონსტრირების მეთოდი
7. ანალიზის მეთოდი
8. სინთეზის მეთოდი
9. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
10. წერითი მუშაობის მეთოდი
11. ახსნა-განმარტებითი მეთოდი
12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
13. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია

სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან.

სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების, ანალიზისა და მსჯელობის, დარგთან დაკავშირებული შემთხვევების შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების და ზოგადად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და სწავლების შესაბამისი მიდგომების გამოყენება, კერძოდ, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა პროფესორ-მასწავლებელთა მზაობა სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო და საკონსულტაციო საათების მიღმა გაუწიონ სტუდენტებს დამატებითი კონსულტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები https://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf, ○ სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები არის გამჭირვალე და წინასწარ ცნობილია მაგისტრანტებისთვის. შეფასება სტუ-ში დადგენილი პროცედურების მიხედვით ხორციელდება, რომელიც სათანადო ნორმატიულ დოკუმენტაციაშია დაფიქსირებული.

სტუ-ში მიღებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის ECTS ერთეულში. პროგრამის სასწავლო კომპონენტი, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასება შესაბამისობაშია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან. სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, ხოლო კვლევითი კომპონენტები, სამაგისტრო ნაშრომი და თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი ფასდება ერთჯერადად.

მაგისტრატურის აკადემიური მოსწრების შეფასების წესები და რაოდენობრივი მახასიათებლები დეტალურადაა გაწერილი „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში.“ სამაგისტრო კვლევის შესრულების პროცედურები და ფორმები აღწერილია „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში.“ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება კომისიურად ხდება.

პროგრამის მაგისტრანტებს მიღებული შეფასების გასაჩივრების და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასება/გამოცდის აღდგენის შესაძლებლობა აქვთ, რაც დასტურდება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mart_inst_18.1119_SD.pdf;
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს №732 დადგენილების დანართი - „სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები“. http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/732_dadgenilebis_danarTi.pdf ;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge;
- სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენა (დანართი 9);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxeb_debuleba_2019-09-23.pdf;

○ სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყოველი სემესტრის დასაწყისში მაგისტრანტები იღებენ ინფორმაციას სწავლის ორგანიზების, სასწავლო გეგმის, სასწავლო სისტემისა და სასწავლო კურსების შესახებ. პროგრამაში ჩართულ ყველა პედაგოგს გამოყოფილი აქვს კვირაში ერთი სამუშაო დღე კონსულტაციების გასაწევად. პროგრამის მაგისტრანტები სარგებლობენ სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისებით, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნონ შეფასებებს, მიიღონ ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესების და სიახლეების შესახებ. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს GTU- table (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელიც მრავალფუნქციური და სტუდენტებზე მორგებულია. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კონსულტირებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესაძლებლობა. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დეტალურად გაეცნონ სასწავლო გეგმას, კრედიტების განაწილებას საგნების მიხედვით და სემესტრულად, ასევე ადმინისტრაციული პროცესებს. ეს ინფორმაცია არის საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სანდო ინფორმაციის მიღება. ასევე ტარდება ყოველი სემესტრის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. უსდ აქტიურად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ გამოკითხვას. სტუდენტებს ამით საშუალება ეძლევათ უკუკავშირი მისცენ როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე გამოთქვან საკუთარი მოსაზრება სასწავლო პროცესის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა.“

○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. სტუ-ს ვებგვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. მათ გააჩნიათ შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო კომპეტენცია. ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ხელმძღვანელი სტუდენტთან შეთანხმებით

ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, უწევს კონსულტაციას, რომლის სიხშირე დამოკიდებულია თემის სპეციფიკაზე, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ. როგორც წესი, მაგისტრანტს ერთი ხელმძღვანელი ენიშნება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა თანახელმძღვანელის დანიშვნაც, რომელსაც საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება გააჩნია.

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, როგორც სხვა სტანდარტშიცაა აღნიშნული გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომი მიგნებებში ნაშრომების როგორც მეთოდოლოგიურ, ისე რიგ შემთხვევებში თემატური სისუსტე. თუმცა დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუერების პროცესში დადგინდა, ის რომ ეს პრობლემა შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო იმით, რომ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ“ სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში არ არის მინიშნება მეთოდოლოგიის და ნაშრომის მიზნებზე, ამოცანებზე ანდა ჰიპოთეზაზე. ხოლო, მაგისტრანტთა ხელმძღვანელების ბიოგრაფიისა და გამოქვეყნებული ნაშრომების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია. თუმცა მნიშვნელოვანია მათმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის ასახვას ნაშრომში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები „სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ“;
- დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეთოდოლოგიური და მიზნობრივი ნაწილის ასახვას ნაშრომში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტის და ინდუსტრიული პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები; სულ პროგრამას ემსახურება 13 პროფესორ-მასწავლებელი, საიდანაც ყველა აკადემიური პერსონალია (პროფესორი- 6, ასოცირებული პროფესორი - 6, ასისტენტ პროფესორი - 1) . აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით 4 წლის ვადით. მათ უფორმდებათ შრომითი და აფილირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებები. მათი დატვირთულობის დაგეგმვა ხდება სემესტრის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული დატვირთვა გულისხმობს მხოლოდ მეცადინეობების/ლექციების ჩატარებას და სამეცნიერო სამუშაოებისთვის საჭირო დროის არც აღრიცხვა ხდება და არც ანაზღაურება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" , რომლის საფუძველზე, აკადემიური პერსონალის დატვირთვა სხვა უნივერსიტეტების გათვალისწინებით ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს.

ასოცირებული პროფესორები, ისევე როგორც პროფესორები და ასისტენტ პროფესორი, ჩართული არიან სასწავლო პროგრამის განახლებასა და განხორციელებაში, ატარებენ ლექციებს და ამავდროულად ეწევიან კვლევით საქმიანობას. უმეტესობა მათგანთან გაფორმებულია აფილირების ხელშეკრულება. თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალზე არის 1:1,3. აღნიშნული თანაფარდობა არის სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ პროგრამა იყოს მდგრადი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პროფესორს აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომების თემების შეთავაზება სტუდენტებისთვის ხდება პროფესორების მიერ. თითოეული პროფესორი მისთვის საინტერესო თემატიკის ირგვლივ სტუდენტებს სთავაზობს სავარაუდო თემას; როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, თემატიკის განსაზღვრის პროცესში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები სტუდენტებს სთავაზობენ იმ მიმართულებით მუშაობას, რაშიც გააჩნიათ დარგობრივი ცოდნა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პირადი საქმეები იყო მოძველებული, თითქმის ყველას ბოლო განახლება ჰქონდათ 2017 წელს. შესაბამისად რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდა ახლანდელი აკადემიური პოზიცია CV-ებში მოცემულ ინფორმაციას.

ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნდა 130 სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში; ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენების ჯამური რაოდენობა არის 42, მონოგრაფიების რაოდენობა -20, სახელმძღვანელოები -7 და გამოიცა ორი დარგობრივი ლექსიკონი.

პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი; როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის სრულყოფილად წარმართვას ასევე უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი. 7 ადმინისტრაციული თანამშრომელი, რომლებიც წყვეტენ ადმინისტრაციულ საკითხებს, რათა პროგრამამ შეუფერხებლად იფუნქციონიროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალი პირადი საქმეები და CV-ები;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები;
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია შეიცვალოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის მხოლოდ საკონტაქტოს საათებით ანაზღაურების წესი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევისა და შეფასების პროცედურები. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი პოლიტიკა, რომელიც ემსახურება ობიექტური შეფასების პრინციპებს და კარიერულ განვითარებას. შეფასების პროცესი არის უწყვეტი და უკუკავშირის მაქსიმალური გამოყენებით იგეგმება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტში დასაქმებულებს სთავაზობს სხვადასხვა სახის პროფესიულ ტრენინგებს. როგროც ინტერვიუებიდან დადგინდა აკად. პერსონალის ნაწილს აქვს ინგლისური ენის დაბალი კვალიფიკაცია; ფაკულტეტს მათთვის არაერთხელ შეუთავაზებია უცხო ენის კურსები, თუმცა აქტივობა არის ძალიან დაბალი. აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ორი მიმართულებით: სასწავლო კომპონენტი (გამოყენებულია თანამშრომლობითი და კოლეგიალური მიდგომა, ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესორებს ესწრებიან მისი კოლეგები ლექციების მსვლელობისას) და კვლევითი კომპონენტი (წლის განმავლობაში კვლევითი აქტივობების შედეგად მიღებული სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და ა.შ. თავმოყრა და გაანალიზება). უნივერსიტეტის მხარდაჭერით აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო კონფერენციებში და რიგ შემთხვევებში ახდენს მათ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას. ასევე ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის მხრიდან მათ პროფესიულ განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვან მხარდამჭერ აქტივობებად ასახელებს საბიბლიოთეკო რესურსებს, ონლაინ ვებინარებს, უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯების დაფარვა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს "Body of Knowledge" , რომელსაც აცნობენ აკად.

პერსონალს, რათა მათ მიერ შემუშავებული კურსებში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტისთვის სავალდებულო პროფესიული უნარ-ჩვევების განსავითარებელი მიმართულებები. ეს ნაწილი ეხმარება აკადემიურ პერსონალს თავის კურსები დაგეგმონ პრაქტიკაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ტარდება აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების კმაყოფილების კვლევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტმა მეტი რესურსი უნდა ჩადოს თანამშრომელთა კმაყოფილების ასამაღლებლად. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ანაზღაურების კუთხით (64% თვლის რომ ანაზღაურება არ არის შესაბამის პოზიციების მიხედვით და არაკონკურენტუნარიანია ბაზარზე). საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების თანაფარდობა ადგილობრივ ჟურნალებთან მიმართებაში არის 1:0.7.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნების გახორციელების ღონისძიებები; ○ აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების კმაყოფილების კვლევის შედეგები; ○ დაინტრესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა, რათა თანამშრომლებს ჰქონდეთ ღირსეული სამუშაო პირობები და შესაძლებელი გახდეს ტალანტების აღმოჩენა და დაწინაურება უფრო ეფექტურად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამას ემსახურება ფაკულტეტის და ცენტრალური ბიბლიოთეკა. ვიზიტის ფარგლებში გადავამოწმეთ პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა. სახელმძღვანელოები ინახება ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნთა საცავში და სტუდენტებს აქვთ სარგებლობის საშუალება. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა არის შედარებით მოძველებული და ძირითად საგნებში მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლების მიერ შემუშავებული რიდერებით ხელმძღვანელობენ. უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს ელექტრონულ ბაზებს. ბაზებთან წვდომა შეუძლია ყველა პირს, რომელსაც აქვს სტუ-ს კორპორაციული მეილი; ბაზებთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიღმაც. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი ერთ-ერთ დადებით მხარედ აფასებს სწორედ საბიბლიოთეკო რესურსებს. სასწავლო პროგრამა ხორციელდება სტუ-ს მე-8 კორპუსში განთავსებულ აუდიტორიებში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში; ასევე პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე რიგი

მეცადინეობები მიდის სისტემათა ინჟინერინგის ლაბორატორიასა და კომპიუტერული სიმულირების ლაბორატორიაში. პროგრამის სხვადსხვა კურსის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ სხვადსხვა პროგრამების შესწავლას: SAP - ERP სისტემები, Arena -რაშიც ხდება პროცესების სიმულაციის ანალიზი, Microsoft MS Project, Expert Choice. აღნიშნული პროგრამების დემო /სასწავლო ვერსიები ჩაწერილია უსდ-ს კუთვნილ პერსონალურ კომპიუტერებში, რომელიც განთავსებულია ლაბორატორიებში. სასწავლო პროგრამის განხორციელების ადგილი საჭიროებს განახლებას და რემონტს. საპირფარეშოებში არ არის საკეტები და აშ. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტს ბიუჯეტში გამოყოფილი აქვს წლიური 50 000 ლარი ხარჯი სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს ბიბლიოთეკის ვებგვერდი; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ დათვალიერების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია გარემონტდეს და თანამედროვედ აღიჭურვოს მე-8 კორპუსი, მათ შორის საპირფარეშოები. შესაბამისად ბიუჯეტში გამოიყოს საჭირო თანხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს საკუთარი ბიუჯეტი. ფაკულტეტის საერთო ბიუჯეტი ყოველწლიურად დგება ფაკულტეტის მიერ და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ბიუჯეტი არ იყო წარმოდგენილი დანართის სახით და ვიზიტის დროს ჯგუფმა მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი. უნივერსიტეტმა ჯგუფს წარუდგინა "სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა", სადაც შემოსავლები 4 832 900 ლარით არის განსაზღვრული. წარმოდგენილი ბიუჯეტის ფორმის მიხედვით შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთის ტოლია. შემოსავლების 50% შრომის ანაზღაურებაზე მოდის, საქონელსა და მოსამხრებაზე 11%; ბიუჯეტით გათვალისწინებულია 20 000 ლარი სამივლინებო ხარჯი და 50 000 ლარი შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი. უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტში განმარტავს, რომ პროგრამაზე ხარჯების განაწილება ხდება პროპორციულად, იმ პრინციპის გათვალისწინებით, როგორც მოცემულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასწავლო პროგრამაზე მიღების კვოტა არის 10 სტუდენტი, მხოლოდ სწავლის საფასურით მიღებული შემოსავალი არ განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი გეგმავს აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესის ცვლილებას, რაც დამატებით სახსრებთან იქნება დაკავშირებული. ამჟამად აკადემიურ პერსონალთან

გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებს მათ საათობრივ დატვირთავს და შესაბამის ანაზღაურებას. როგორც გაირკვა ეს დატვირთვა მოიაზრებს მხოლოდ საკონტაქტო საათებს (ჩასატარებელ ლექციებს) სამომავლო გეგმის მიხედვით კი, ამ დატვირთვის დაახლოებით 50% უნდა შეადგენდეს სამეცნიერო სამუშაოებს. ამჟამად განაწილებული საათები კი მხოლოდ სასწავლო პროცესის- ლექციების ჩატარების ანაზღაურებას უზრუნველყოფს. შესაბამისად ბუნდოვანია, საიდან მოხდება აღნიშნული ხარჯების დაფინანსება, იმ პირობებში რომ ამჟამად ფაკულტეტის შემოსავლები და ხარჯები ტოლია. ამ საკითხის დაზუსტების დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა არჩიეს არ გაეზიარებინათ ჩვენთვის კონკრეტული სტრატეგიები და მიდგომები. შესაბამისად, ფაკულტეტის და პროგრამის სამომავლო ფინანსური მდგრადობა უფრო ბუნდოვანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ; ○ "სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა" ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ უმჯობესია, უნივერსიტეტს შიდა მოხმარებისთვის შემუშავებული ჰქონდეს პროგრამის ბიუჯეტი; ბიუჯეტის შედგენის დროს გამოყენებული იყოს ABC (Activity based costing - საქმიანობობების სახეების მიხედვით დანახარჯთა მართვა) ან სხვა უსდ-ს ბიუჯეტირების შედგენისას გამოყენებული მოდელი, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ეფექტური ანალიზი და შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს N01-05-04/108, 17 აპრილი 2018 დადგენილებით, რომელიც ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: მომხმარებელზე ორიენტირებულობა, თანამშრომელთა ჩართულობა, პროცესების მუდმივი გაუმჯობესება, მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილება განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების ფორმებისა და მათი დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია აღნიშნული პროცედურების შესახებ. სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანებით აღნიშნულ დაწესებულებაში შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან, დაადგინონ პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოთხოვნებთან (მაგ. ლაბორატორიული აღჭურვილობა, სათანადო ადამიანური რესურსები, ლიტერატურა და აუდიტორიები). საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ წინადადებებს აკადემიური პერსონალი განიხილავს როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის საბჭოზე ამ საკითხების (ახალი საგნის დამატება, სილაბუსის განახლება, პროგრამული ცვლილებები) დამტკიცებამდე. მხოლოდ ძირეული ცვლილებების შემთხვევაში ხდება პროგრამის ხელახალი განხილვა/დამტკიცება სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე.

აღნიშნულ უდს-ში ფუნქციონირებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ასახავს ინფორმაციას ინდივიდუალური სტუდენტის აკადემიურ მიღწევების შესახებ. შეფასების ვადები, ფორმები და შეფასების კომპონენტებში კომპეტენციის ზღვრები დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსში. აღნიშნულ დაწესებულებაში ასევე დანერგილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რაც მათ საშუალებას აძლევს ინფორმირებული იყონ მათი შეფასებების შესახებ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება ასევე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და გაცდენილი კომპონენტების აღდგენის პროცედურებს (28.06.2019 №01-05-04/177). მობილური აპლიკაცია Gtu Table უზრუნველყოფს სტუდენტების გამოკითხვას სასწავლო კურსებთან და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სერვისებთან/ რესურსების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.

სტუდენტთა, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვა გამოიყენება პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებების მიზნით.

ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობენ როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან. ხდება სასწავლო კურსებზე პერიოდული დასწრება სპეციალური კომისიის მიერ მათი შეფასების მიზნით და ასევე სამუშაო შეხვედრები/კონსულტირება პროგრამის მოდიფიცირებისას მისი მიზნების/სწავლის შედეგების ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პროგრამების ხარისხის შეფასების პროცესში თანამშრომელთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ასევე ატარებენ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევას, რის საფუძველზე იკვეთება, რომ გასაძლიერებელია პროფესიული განვითარების, მოტივაციის ასამაღლებელი ინსტრუმენტები და კარიერული წინსვლის პერსპექტივები.

გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა დააფიქსირეს, რომ ისინი იცნობენ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს/დიზაინს, რომელიც მათთვის მისაღებია, თუმცა

მათი ჩართვა მხოლოდ მოგვიანებით, და არა პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების საწყის ეტაპზე, მოხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვები; ○ უსდ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის კვლევის ანგარიში; ○ უსდ-ს ფაკულტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევის ანალიზი.
რეკომენდაციები: ○ გაძლიერდეს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართვის მექანიზმები პროგრამის განახლების/გაუმჯობესების პროცესებში; ○ მოხდეს ქმედითი რეაგირება აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილების კვლევით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე (გაიზარდოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა დახვეწა/განვითარების მიზნით იყენებს ხარისხის გარე შეფასების ინსტრუმენტებს, რომელიც მოიცავს ავტორიზაციასა და პროგრამულ აკრედიტაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით. „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიური პერსონალმა გაითვალისწინა 2018 წლის აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მისი გაუმჯობესების მიზნით. პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ძირეული ცვლილებები: შეიცვალა პროგრამის მიზნის ფორმულირება, დაემატა პრაქტიკის კომპონენტი, დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარე და განახლდა ლიტერატურა.

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი ხაზს უსვამს შემდეგი ცვლილებების განხორციელების საჭიროებას, როგორიცაა სასწავლო კურსების სწავლების/შეფასების ფორმები და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. სასურველია, მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციების სიღრმისეული შესწავლა და მათი პროგრამაში ინტეგრირება მისი გაუმჯობესების მიზნით. ასევე სასურველია განხორციელდეს პროგრამის შინაარსობრივი მხარის შეფასება დარგის სპეციალისტებისა და სხვა ადგილობრივი/უცხოური უსდ-ს აკადემიური პერსონალის მიერ;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, ოქმი №10 05.02.2019;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 19б 01.10.2018 https://gtu.ge/quality/Files/Pdf/avtorizaciis%20okmi.pdf.

რეკომენდაციები:

▪

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს პროგრამის შინაარსობრივი შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ/სხვა ადგილობრივი/უცხოური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს 2 ეტაპს: 1. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების/სავალდებულო კურსების ათვისების ანალიზს და 2. შედეგების განხილვას ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, რომელიც დაკომპლექტებულია ფაკულტეტის წარმომადგენლების, მაგისტრანტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლებით. ფოკუს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა ხდება

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დეპარტამენტის სხდომასა და ფაკულტეტის საბჭოზე შემდგომი რეაგირების მიზნით. პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის მიერ, რომელიც ადგენს პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის მოთხოვნებთან. წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხდება ლექციებისა და პედაგოგების შეფასება კომისიისა და სტუდენტების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სტუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა კითხვარი; ○ დამსაქმებლების კითხვარი; ○ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის ლექციის შეფასების კითხვარის და დასკვნის ნიმუში; ○ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ გაიზარდოს გამოკითხულ დამსაქმებელთა რიცხვი, რომლებიც ჩართული არიან პროგრამის პერიოდულ შეფასებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო პატარაია

ლარისა პატარაია

მერაბ ბარათაშვილი

ეკა ავსაჯანიშვილი